ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ

მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი

ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. №16 ტელ: 0433221869 593575305
ს/კ 243573370

№ 7 13 მარტი 2023 წ

ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი არის სკოლისგარეშე სასწავლო დაწესებულება, რომელიც ეხმარება ბავშვებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, რაც გამოიხატება შემდეგში: მოსწავლეთა სახლი აქტიურად თამამშრომლობს მუნიციპალიტეტის სკოლებთან, აცხადებს სხვადასხვა კონკურსებს და ატარებს საქმიან და კულტურულ ღონისძიებებს, ხელს უწყობს მოსწავლეებისათვის თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას და მოზარდთა ინტერესების ყოველმხრივ განვითარებას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 2022 წელს ფუნქციონირებას შუდგა 13 დასახელების წრით და მუსიკალური სტუდიით: საესტრადო სიმღერის წრე, ხალხური სიმღერის წრე სოფ. ლეღვანში, კინომოყვარულთა წრე, კომპიუტერის შემსწავლელი წრე სოფ. ბორითში, საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი წრე, ნორჩ-მათემატიკოსთა წრე, მხარეთმცოდნეობის შემსწავლელი წრე, ხელგარჯილობის წრე, ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, ხატვის წრე, მაკრამეს წრე, სპეც. საჭიროების ჯგუფი, საბავშვო თეატრი, ხეზე კვეთის წრე სოფ. მარელისში, მუსიკალური სტუდია ხარაგაულსა და სოფელ ვერტყვიჭალაში . ბავშვებისათვის ყველა წრე უფასო იყო გარდა მუსიკალური სტუდიისა, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება მშობელთა შემონატანით, რაც შეეხება სოციალურად დაუცველ სტუდიის მოსწავლეებს გათავისუფლებულები არიან გადასახადისაგან.

მოსწავლეთა რაოდენობა სახელობითი სიით შეადგენს 220 ბავშვს, ისინი გაერთიანებული არიან წრეებში თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, ზოგიერთი ბავშვი 2-3 წრეშია გაერთიანებული. წრეებში ჩაბმული არიან როგორც დაბის ასევე სოფლის მოსწავლეები, კერძოდ; მარელისის, მოლითის, საღანძილის, ლეღვნის, ბორითის, ვერტყვიჭალის, კიცხის ზონის და ზვარეს სკოლებიდან.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 2022 წელს მუშაობას შეუდგა 24 საშტატო ერთეულით , 2022 წელი დასრულდა 25 საშტატო ერთეულით და ამჟამადაც 25 საშტატო ერთეულით ფუნქციონირებს.2022 წელს დაემატა ხალხური საკრავების წრე სოფელ კიცხში და სოფელ მარელისში.

2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 177 020 ლარს, აქედან 176 239 ლარი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება, ხოლო 781 ლარი საკუთარი შემოსავალი.

2022 წელს შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა 147 992 ლარი.

საქონელი და მომსახურეობაში 13 712 ლარი; (12931 ლარი ბიუჯეტის დაფინანსება, 781 ლარი საკუთარი შემოსავალი) .
არაფინანსურ აქტივებში 15 316 ლარი.

საქონელ და მომსახურეობიდან:
მივლინება 771
საკანცელარიო ნივთებში გაიხარჯა1201 ლარი, აქედან საბიუჯეტო სახსრებით 976 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებით 225 ლარი;
მცირეფასიანი ტექნიკის შეძენა დამონტაჟებაში 565 ლარი. აქედან 510 ლარი საბიუჯეტო სახსრებით, 55 ლარი საკუთარი შემოსავლიდან.
საოფიოსე ინვენტარის შეძენაში სულ 1030 ლარი აქედან საბიუჯეტო სახსრებით 802 ლარი, საკუთარი შემოსავლიდანა 228 ლარი.
ოფისისსათვის სანიტარულ -ჰიგიენურ მასალებში 214 ლარი.
კავშირგაბმულობის ხარჯი 963 ლარი.
კომუნალურ გადასახადებში 1493 ლარი,
ოფისის ხარჯი რომელიც არა არის კლასიფიცირებული 1549 ლარი. აქედან საბიუჯეტო სახსრებიდან 1424 ლარი, საკუთარი შემოსავლიდან 125 ლარი.
კვების ხარჯში- 3999 ლარი, საზაფხულო ბანაკის, პიონერფილმის ბავშვების კვების და საახალწლოდ ტკბილეულის შესაძენად.
ტრანსპორტის ხარჯი- 760 ლარი.
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობაში 1167 ლარი აქედან საბიუჯეტო სახსრებით 1019 ხოლო საკუთარი შემოსავლიდან 148 ლარი.
არაფინანსურ აქტივებში -15316 ლარი,
შეიცვალა ხის ფანჯრები მეტალო-პლასმასის ფანჯრებით მთელ შენობაში- 4500 ლარი,
შეძენილი იქნა კონდიციონერი- 2350 ლარი
შემოყვანილი იქნა ბუნებრივი აირი-611 ლარი
შეძენილ იქნა ცენტრალური გათბობის ქვაბი--2350 ლარი
დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა- 1420 ლარი
ცენტრალური გათბობის სხვა მასალები-4085 ლარი.
გარდა ამისა ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის დახმარებით შეიცვალა მოსწავლეთა სახლში შესასვლელი კიბე და მოეწყო შენობის უკანა მხარეს სახანძრო უსაფრთხოების კიბე.

2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 215 000 ლარს, აქედან; შრომის ანაზრაურება განისაზღვარა 203 000 ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურეობა 12 000 ლარით. საკუთარი შემოსავალი დღეის მდგომარეობით შეადგენს 448 ლარს, რაც მთლიანად გახარჯული იქნება საქონელი და მომსახურეობაში.

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. მუსიკალური მხიარული შეჯიბრი მელომანი“- თებერვალი
2. ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი- მარტი
3. აქტივობა- „დედამიწა ჩვენი სახლია“-მხარეთმცოდნეობის წრე. (აპრილი)
4. სიყვარულის დღე მოსწავლეტა სახლში. მხატვრული კითხვის წრე. (აპრილი)
5. ხსოვნის საღამო. 9 აპრილი
6. დასუფთავების აქცია. მხარეთმცოდნობის წრე (მაისი)

7. „რა სად როდის“ მათემატიკისა და მხარეთმცოდნეობის წრის ბავშვები. (მაისი)

8. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი. (ივნისი)

9. კვირეული მოსწავლეთა სახლში: ხატვის კონკურსი, კლასიკური მუსიკის საღამო, მაკრამისა და ინგლისურის წრის ერთობლივი ღონისძიება ღიაცის ქვეშ.

10. დღის ბანაკი მოსწავლეთა სახლში. (ივლისი)

11. პიონერფილმის სტუმრობა მოსწავლეთა სახლში. (ივლისი

12. სტუმრობა „პიონერფილმში“ თბილისის ეროვნულ სასახლეში. 30 სექტემბერი,1,2 ოქტომბერი. (კინომოყვარულთა წრე)

13. ღია გაკვეთილი მუზეუმში. მხარეთმცოდნეობის წრე. (12 ოქტომბერი)

14. ღია გაკვეთილი პატარა მოსწავლეებთან პარკში. საესტრადო სიმღერების წრე. (24 ოქტომბერი)

15. გასვლითი კონცერტი ლეღვნის საჯარო სკოლაში (31 ოქტომბერი)

16. ლაშქრობა ჩხერის ციხეზე- მხარეთმცოდნეობის წრე. (11 ნოემბერი)

17. შემოდგომის ღონისძიება „შემოდგომის ფერები“ (7 ნოემბერი)

18. მუსიკალურ-ლიტერატურული ღონისძიება- „მე მიყვარს ხარაგაული“ (10 ნოემბერი)

19. კონკურსი „თუ ხარ მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“ (15 ნოემბერი)

20. გივი კურტანიძის ფილმების ჩვენება და განხილვა. (კინმოყვარულთა წრე.) (18 ნოემბერი)

21. შეხვედრა მოსწავლეებსა და ხარაგაულის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების კოორდინატორ თეა ბერიძესთან- თემაზე რა არის ბულინგი? (13 დეკემბერი)

22. მოხალისეობრივი აქცია- შევაგროვოთ ტანსაცმელი მოხუცებისთვის. (15-28 დეკემბერი)

23. საფეხბურთო ვიქტორინა. (16 დეკემბერი. ფინალი 23 დეკემბერი)

24. ფოტოკონკურსი (19 -28 დეკემბერი)

25. ეკონაძვის ხის კონკურსი. (26-29 დეკემბერი)

26. ღია გაკვეთილი ინგლისურ ენაში. პედაგოგი ეკა ხარატიშვილი (21 დეკემბერი)

27. შეჯიბრი ნორჩ მათემატიკოსთა წრის ბავშვებს შორის. პედაგოგი მარინა თაბუკაშვილი. (22 დეკემბერი)

28. კონცერტი ღია სივრცეში ნაძვის ხის ანთებისას. (25 დეკემბერი)

29. წლის შემაჯამებელი ტესტი მხარეთმცოდნეობის წრის ბავშვებისთვის. პედაგოგი მაკა გელაშვილი. (27 დეკემბერი)

30. საახალწლო კონცერტი კინოთეატრში (29 დეკემბერი)

31. საახალწლო საჩუქრების გადაცემა ბავშვებისათვის. (29 დეკემბერი)

2023 წელს დღეის მდგომარეობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები.

1. „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“-24 იანვარი)-ორგანიზატორი ქეთევან ხარაძე

2. ნინოობასთან დაკავშირებით სამაჯურების დამზადება და საჩუქრად გადაცემა.

3. წიგნის საჯაროდ კითხვის კვირეული. წიგნის კითხვა წრეებზე.

მოწვეული სტუმარი მარინა ხვედელიძე ანტუან ეგზუეპერის „პატარა პრინცი“ (1.2.3 თებერვალი)

4. ლექცია-დისკუსია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესახებ. მოწვეული პედაგოგები ზეინაბ ბუაჩიძე, მარინა მაღრაძე. „დავითობა“-ორგანიზატორები მარიკა ხარატიშვილი და ქეთევან ხარაძე. 8 თებერვალი

5. ჩაის და ყავის საღამო. ორგანიზატოები მარიკა ხარატიშვილი და ქეთევან ხარაძე. 23 თებერვალი

6. „მხიარული შეჯიბრი“ - მუსიკალური ღონისძიება მოსწავლეთა სახლის მოსწავლეებს და პედაგოგებს შორის.

ღონისძიების ორგანიზატორი დარეჯან გვაძაბია. 27 თებერვალი.

7. ვიდეოკონკურსი თემაზე „სიცოცხლის საწყისი“. მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები. პროექტის ორგანიზატორები კინომოყვარულთა წრის პედაგოგი თიკო კიკნაძე და ღონისძიებების მენეჯერი მარიკა ხარატიშვილი. 15 თებერვალი-2 მარტი.

8. დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. „საგალობელი დედებს“. ორგანიზატორები საესტრადო წრის პედაგოგი

დარეჯან გვაძაბია და მხატვრული კითხვის პედაგოგი ლალი შარაშიძე. 2 მარტი.

გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა მოსწავლეთა სახლში ყოველდღიურად ტარდება გაკვეთილები სხვადასხვა წრეებში და მოსწავლეები თავისუფალ დროს იყენებენ ნაყოფიერად. ჩვენი სურვილია მიმდინარე წელს ბავშვებს შევთავაზოთ რაც შეიძლება მეტი ისეთი ღონისძიება, რომლებიც მათთვის საინტერესო და განმავითარებელი იქნება. აქვე მინდა დავამატო რომ 2022 წელი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისთვის ინფრასტრუქტურის კუთხით: კერძოდ, მოწესრიგდა შესასვლელი კიბე, მოეწყო სახანძრო გასასვლელი, ჩაისვა მეტალო-პლასმასის

ფანჯრები, შემოყვანილი იქნა ბუნებრივი გაზი და დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, ასევე გაზრდილი იქნა პედაგოგების ხელფასები, ყოველივე ამისათვის დიდ მადლობას გიხდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს მხარდაჭერისათვის და დარწმუნებული ვართ მომავალშიც თქვენი დახმარებით, აღმოვფხვრით ისეთ პრობლემებს როგორიცაა შიდა კოსმეტიკური რემონტი,ინვენტარი,დაფები,კომპიუტერული ტექნიკა და სხვა. აღნიშნული პრობლემების მოგვარება გააუმჯობესებს სწავლის ხარისხს და ბავშვებისათვის შექმნის საინტერესო გარემოს არაფორმალური განათლების მისაღებად.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის

პატივისცემით ა(ა)იპ ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის

სახლის დირექტორი ჰამლეტი ბერაძე

დირექტორი: /ჰ.ბერაძე/